სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

70828727964322

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ოქმის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N250004595

რეგისტრაციის თარიღი

06.01.2025 წ

ნოტარიუსი: თეა ედიშერაშვილი
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ა.მირცხულავას ქ. N9, კორპუსი N2, სართული 2, საოფისე ფართი N4
ტელეფონი: +995 591 202027

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ოცდაოთხი წლის ოცდაექვს დეკემბერს მე, ნოტარიუსი საქართველოში თეა ედიშერაშვილი, რომლის სანოტარო ბიუროს მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ა.მირცხულავას N9, კორპუსი N2, სართული 2, საოფისე ფართი N4, დავესწარი სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილის" აქციონერთა წლიურ (მორიგი) საერთო კრებას, რომელიც ჩატარდა ს.ს სარაჯიშვილის იურიდიულ მისამართზე: **თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N4**, რის შესახებაც **2025 წლის ექვს იანვარს** შევადგინე წინამდებარე ოქმი კრების მიმდინარეობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ:

ს/ს „სარაჯიშვილი" (ს/კ 209444065)
აქციონერთა წლიური (მორიგი) საერთო კრების ოქმი

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი"-ს (ს.კ. 209444065, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: 1ა/5-20; 27/09/1996; მარეგისტრირებელი ორგანო: გლდანის რ-ნის სასამართლო, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, სარაჯიშვილის გამზ. №4) აქციონერთა წლიური (მორიგი) საერთო კრება ჩატარდა **ორიათას ოცდაოთხი წლის 26 (ოცდაექვსი) დეკემბერს მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N4**.

კრება დაიწყო **ადგილობრივი დროით 14:00 სთ-ზე.** კრება მიმდინარეობდა სახელმწიფო (ქართულ) ენაზე.

კრების თავმჯდომარე: ელგუჯა ბუბუტეიშვილი (დაბადებული: 13.06.1947 წელს, პ/ნ 01018000374, მისი გაცხადებით მცხოვრები: საქართველო, ქალაქი თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა, N 62, ბინა 2), რომელმაც განაცხადა, რომ იგი, როგორც სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, უფლებამოსილია თავმჯდომარეობდეს მიმდინარე კრებას. მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ იგი ნამდვილად არის სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილის" (ს.კ. **209444065**) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24141266, 07/11/2024 12:40:51

კრების თავმჯდომარემ აქციონერთა საერთო კრება გახსნილად გამოაცხადა. მან დაადასტურა, რომ კრება მოწვეულია საზოგადოების წესდებით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით (ინფორმაცია სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილის" აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ ვადებში) გამოქვეყნებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე-ელექტრონულ მისამართზე და სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილის" ვებ გვერდზეც: www.sarajishvili.com;

კრების გამოცხადებული დღის წესრიგი:

1. **ს/ს „სარაჯიშვილის“ წესდებაში ცვლილებების შეტანისა და ამ ცვლილებების მიხედვით კრების ჩატარების თარიღისათვის კონსოლიდირებული წესდების დამტკიცების შესახებ**

(მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა ბუბუტეიშვილი).

2. **ს/ს „სარაჯიშვილის“ 2023 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების, მმართველობის ანგარიშგებისა და ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცების შესახებ.**

(მომხსენებელი: საზოგადოების ხელმძღვანელი პირი, გენერალური დირექტორი - ზურაბ ბუბუტეიშვილი).

3. **ს/ს „სარაჯიშვილის“ წმინდა მოგების დივიდენდებად განაწილების შესახებ**

(მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - თენგიზ ჯაფარიძე).

4. **საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შეფასების შესახებ**

(მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - გელა შენგელია).

5. **სხვა იურიდიული პირის დაფუძნებასა და წილობრივ მონაწილეობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოზე გადაცემის შესახებ.**

(მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - გელა შენგელია).

6. **ს/ს „სარაჯიშვილის“ საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის სტატუსის დაკარგვის შესახებ.**

(მომხსენებელი: საზოგადოების ხელმძღვანელი პირი, გენერალური დირექტორი - ზურაბ ბუბუტეიშვილი).

7. **სააქციო საზოგადოების აქციათა პაკეტის მფლობელთათვის საზოგადოების დანარჩენ აქციათა გამოსყიდვაზე სატენდერო შეთავაზების ნებართვის გაცემის შესახებ.**

(მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - თენგიზ ჯაფარიძე).

8. **სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ.**

(მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა ბუბუტეიშვილი).

კრების თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი იქნა ს.ს სარაჯიშვილის ფასიანი ქაღალების რეგისტრატორის - ს.ს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორის“ (ლიცენზია N 70006, საიდენტიფიკაციო კოდი: 205156374) მიერ 2024 წლის 6 დეკემბერს 15:50 სთ-ზე გაცემული ს.ს სარაჯიშვილის ფასიანი ქაღალდების რეესტრი, რომლის თანახმადაც კრების თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სააქციო საზოგადოება სარაჯიშვილის **ფასიანი ქაღალდების რაოდენობაა 1 813 667 ცალი ჩვეულებრივი კლასის აქცია. გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობაა: 1 813 667 ცალი განთავსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობაა: 1 813 667 ცალი, 1 ცალი ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულებაა 5.70887 ლარი.**

კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2024 წლის 05 დეკემბერი.

კრებას ესწრებოდა:

- **ზურაბ ბუბუტეიშვილი** (დაბადებული: 19.01.1978 წელს, პ/ნ 01018001201, მისი გაცხადებით მცხოვრები: თბილისი, ფალიაშვილის 62), მისი განცხადებით კრების სააღრიცხვო დღისათვის, ს.ს სარაჯიშვილის ფასიანი ქაღალდების რეესტრის თანახმად, **543 929** აქციის მფლობელი, რაც შეადგენს აქციების საერთო რაოდენობის **29,99057** პროცენტს.
- **მარინა მალაზონია** (დაბადებული: 08.06.1957წელს ოზურგეთში, პირადი N 01018000519, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა, N 62, ბინა 2), მისი განცხადებით კრების სააღრიცხვო დღისათვის, ს.ს სარაჯიშვილის ფასიანი ქაღალდების რეესტრის თანახმად, **538 617** აქციის მფლობელი, რაც შეადგენს აქციების საერთო რაოდენობის **29,69768** პროცენტს;
- **თამარ ბუბუტეიშვილი** (დაბადებული 17.01.1977 წელს თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, თერგის ქუჩა, N 9, პ/ნ 01018000373), მისი განცხადებით კრების სააღრიცხვო დღისათვის, ს.ს სარაჯიშვილის ფასიანი ქაღალდების რეესტრის თანახმად, **359993** აქციის მფლობელი, რაც შეადგენს აქციების საერთო რაოდენობის **19,84890** პროცენტს;
- **გიორგი ბუბუტეიშვილი** (პირადი N 01008040274**,** დაბადებული: 11.01.1990, მცხოვრები: საქართველო, ქალაქი თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა, N 62, ბინა 2) მისი განცხადებით კრების სააღრიცხვო დღისათვის, ს.ს სარაჯიშვილის ფასიანი ქაღალდების რეესტრის თანახმად, იგი არის **359993** აქციის მფლობელი, რაც შეადგენს აქციების საერთო რაოდენობის **19,84890** პროცენტს.

გაცხადებული ინფორმაციით, აქციონერთა წლიურ (მორიგ) საერთო კრებას ესწრებოდნენ **1 802 532** ცალი განთავსებული ჩვეულებრივი აქციების მფლობელი აქციონერები, რაც აქციების საერთო რაოდენობის **99,38605** პროცენტს შეადგენს, შესაბამისად, აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია.

საერთო კრებას ასევე ეწრებოდნენ: სამეთვალყურეო საბჭოს წევრები: **გელა შენგელია** (დაბადებული 11.03.1947 წელს ქუთაისში, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. N 24 ბ. 21, პ/ნ 01024003564) და **თენგიზ ჯაფარიძე** (დაბადებული 11.01.1940 წელს კასპში, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ეგნატე ნინოშვილის ქ. N 37 ფ. 2, პ/ნ 01021008725). მე შევამოწმე მათი უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ ისინი ნამდვილად არიან სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილის" (ს.კ. 209444065) სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24141266, 07/11/2024 12:40:51

ჩემს მიერ შემოწმებული და დადგენილი იქნა კრების მონაწილე პირების პირადობა და ქმედუნარიანობა.

კრების თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე კენჭისყრაზე დასვა გადაწყვეტილების **შემდეგი პროექტები:**

I. დღის წესრიგის პირველ საკითხზე:

გადაწყვეტილების პროექტი:

- **დამტკიცდეს ს/ს „სარაჯიშვილის“ წესდებაში ცვლილებების შეტანისა და ამ ცვლილებების მიხედვით კრების ჩატარების თარიღისათვის კონსოლიდირებული წესდება**

კენჭისყრის შედეგები: „მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციონერთა აქციათა 100%, „წინააღმდეგი“: 0. „თავი შეიკავა“: 0.

გადაწყვეტილება მიღებულია

II. დღის წესრიგის მეორე საკითხზე:

გადაწყვეტილების პროექტი:

ს/ს „სარაჯიშვილის“ 2023 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების, მმართველობის ანგარიშგებისა და ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: „მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციონერთა აქციათა 0%, „წინააღმდეგი“: 100%. „თავი შეიკავა“: 0%.

გადაწყვეტილების პროექტი უარყოფილია.

შენიშვნა: დამსწრე აქციონერთა 100 % მა ერთხმად გადაწყვიტა აღნიშნულის საკითხის განხილვა გადადებულ იქნას სს სარაჯიშვილის აქციონერთა შემდგომ საერთო კრებაზე.

III. დღის წესრიგის მესამე საკითხზე:

გადაწყვეტილების პროექტი:

ს/ს „სარაჯიშვილის“ წმინდა მოგების დივიდენდებად განაწილების შესახებ

დამტკიცდეს ს/ს „სარაჯიშვილის“ წმინდა მოგების დივიდენდებად განაწილების წარმოდგენილი პროექტი, რაც გულისხმობს: ს/ს „სარაჯიშვილის“ 2023 წლის წმინდა მოგების გაუნაწილებლად დარჩენასა და 2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით დაფიქსირებული გაუნაწილებელი მოგებიდან, 6 347 835 (ექვსი მილიონ სამას ორმოცდაშვიდი ათას რვაას ოცდათხუთმეტი) ლარის დივიდენდებად განაწილებას, რაც შეადგენს 3,5 (სამნახევარ) ლარს ერთ აქციაზე, საშემოსავლო გადასახადების ჩათვლით; დივიდენდების სააღრიცხვო თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 09 იანვარი დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 27 იანვარი ხოლო დივიდენდების გაცემის დამთავრების თარიღი განისაზღვროს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

კენჭისყრის შედეგები: „მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციონერთა აქციათა 100%, „წინააღმდეგი“: 0. „თავი შეიკავა“: 0.

გადაწყვეტილება მიღებულია.

IV. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე:
გადაწყვეტილების პროექტი:

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შეფასების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: „მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციონერთა აქციათა 0%, „წინააღმდეგი“: 100%. „თავი შეიკავა“: 0%.

გადაწყვეტილების პროექტი უარყოფილია.

შენიშვნა: დამსწრე აქციონერთა 100 % მა ერთხმად გადაწყვიტა აღნიშნულის საკითხის განხილვა გადადებულ იქნას სს სარაჯიშვილის აქციონერთა შემდგომ საერთო კრებაზე.

V. დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე:
გადაწყვეტილების პროექტი:

სხვა იურიდიული პირის დაფუძნებასა და წილობრივ მონაწილეობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოზე გადაცემის შესახებ.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 184-2 მუხლის თანახმად სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს გადაეცეს უფლებამოსილება სხვა იურიდიული პირების დაფუძნებასა და წილობრივი მონაწილეობის შესახებ. ხელმძღვანელმა ორგანომ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ გადაწყვეტილების ასლები გადასცეს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან 5 სამუშაო დღეში.

კენჭისყრის შედეგები: „მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციონერთა აქციათა 100%, „წინააღმდეგი“: 0. „თავი შეიკავა“: 0.

გადაწყვეტილება მიღებულია

VI. დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე:
გადაწყვეტილების პროექტი:

სააქციო საზოგადოების საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის სტატუსის დაკარგვის შესახებ.

1) კრებაზე დამსწრე ხმის უფლების მქონე წილობრივი ფასიანი ქაღალდების პაკეტის მფლობელების ხმათა 99,38605%-ის თანხმობით, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის 55^3-ე მუხლის საფუძველზე, მიღებულ იქნას გადაწყვეტილება,

საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის სტატუსზე უარის თქმის შესახებ.
2) ს/ს სარაჯიშვილის ხელმძღვანელმა ორგანომ წარუდგინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს აქციონერთა საერთო კრების ამ გადაწყვეტილების ამონაწერი.

კენჭისყრის შედეგები: „მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციონერთა აქციათა 100%, „წინააღმდეგი“: 0. „თავი შეიკავა“: 0.

გადაწყვეტილება მიღებულია

VII. დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე

გადაწყვეტილების პროექტი:

სააქციო საზოგადოების აქციათა პაკეტის მფლობელთათვის საზოგადოების დანარჩენ აქციათა გამოსყიდვაზე სატენდერო შეთავაზების ნებართვის გაცემის შესახებ.

1) ს/ს სარაჯიშვილის წილობრივი ფასიანი ქაღალდების მფლობელებმა: ზურაბ ბუბუტეიშვილმა-(29,99057%-ის მფლობელი), მარინა მალაზონიამ-(29,69768%-ის მფლობელი), გიორგი ბუბუტეიშვილმა-(19,84890%-ის მფლობელი), თამარ ბუბუტეიშვილმა-(19,84890%-ის მფლობელი), რომლებმაც მხარი დაუჭირეს გადაწყვეტილებას ფასიანი ქაღალდების ემიტენტის სტატუსზე უარის თქმის შესახებ, ამ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 45 დღისა უნდა განახორციელონ სავალდებულო სატენდერო შეთავაზება ს/ს სარაჯიშვილის მიერ გამოშვებული ყველა საჯარო წილობრივი ფასიანი ქაღალდის (აქციების) გამოსყიდვის თაობაზე.

2) წილობრივი ფასიანი ქაღალდების მფლობელების: მარინა მალაზონიას, გიორგი ბუბუტეიშვილისა და თამარ ბუბუტეიშვილის თანხმობით, სავალდებულო სატენდერო შეთავაზების დოკუმენტებზე ხელმოწერებს განახორციელებს ს/ს სარაჯიშვილის ხელმძღვანელი ორგანოს გენერალური დირექტორი ზურაბ ბუბუტეიშვილი. ამ გადაწყვეტილების ამონაწერი საზოგადოების ხელმძღვანელმა ორგანომ წარუდგინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს.

კენჭისყრის შედეგები: „მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციონერთა აქციათა 100%, „წინააღმდეგი“: 0. „თავი შეიკავა“: 0.

გადაწყვეტილება მიღებულია

VIII. დღის წესრიგის მერვე საკითხზე

გადაწყვეტილების პროექტი:

სააქციო საზოგადოება სარაჯიშვილის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა გაგრძელდეს 2027 წლის 31 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგები: „მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციონერთა აქციათა 100%, „წინააღმდეგი“: 0. „თავი შეიკავა“: 0.

გადაწყვეტილება მიღებულია

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ თავმჯდომარემ კრება დახურულად გამოაცხადა. კრება დასრულდა **ადგილობრივი დროით 14:30 საათზე**.

წინამდებარე კრების ოქმი გაიცა 2025 წლის 6 იანვარს. ოქმი შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს თეა ედიშერაშვილის სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა ს.ს სარაჯიშვილს.

ოქმის იმ ეგზემპლიარს, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროში თან ერთვის:

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. კრების მოწვევის დოკუმენტაცია;
3. ფასიანი ქაღლდების რეესტრიდან ამონაწერი
4. ს/ს „სარაჯიშვილის" წესდებაში შესატანი ცვლილებისა და აქციონერთა კრების ჩატარების თარიღისათვის „მეწარმეთა შესახებ" ახალი კანონის ამოქმედების გათვალისწინებით წარმოდგენილი კონსოლიდირებული წესდება.

სანოტარო მომსახურების საზღაური: 500 (ხუთასი) ლარი ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N507-ე დადგენილების 21-ე მუხლის თანახმად, დღგ 90 (ოთხმოცდაათი) ლარი და რეგისტრაციის საფასური 5 (ხუთი) ლარი, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად.

საერთო კრების თავმჯდომარე _____

ნოტარიუსი: **/თეა ედიშერაშვილი/**